

იასა მუსხია

ე.მ.დ., თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

კახაბერ ბაგელაშვილი

ე.ა.დ., ქუთაისის უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი

## საქართველოს ადგილი მსოფლიო კონკურენტუნარიანობის რეიტინგებში

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარეობს ღრმა თვისებრივი ცვლილებები, რომელიც დაკავშირებულია გლობალიზაციასთან, ასიმეტრიულ რეგიონულ განვითარებასთან, ერთპოლარული და მრავალპოლარული სამყაროს შესახებ კონცეფციებს შორის ბრძოლის გაღრმავებასთან, ქვეყნებს, რეგიონებსა და ფირმებს შორის საბაზრო კონკურენციის გაძლიერებასთან. ამ პირობებში, როდესაც ბაზარი აღიარებულია საზოგადოებრივი განვითარების მთავარ მამოძრავებელ მექანიზმად, სახელმწიფოს ეკონომიკური სიძლიერე დამოკიდებული მის გლობალურ კონკურენტუნარიანობაზე, მის უნარზე მიაღწიოს უპირატესობებს ეკონომიკურ საქმიანობაში და გაიკაფოს გზა მსოფლიო ბაზარზე. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ავტონომიურ, ჩაკეტილ რეჟიმში ბიზნეს-საქმიანობა პრაქტიკულად შეუძლებელია, რის გამოც სახელმწიფოები ცდილობენ ეკონომიკური საზღვრების გახსნას, სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას, ბიზნესის კეთების ლიბერალიზაციას, რასაც საბოლოო ჯამში თან სდევს ბრძოლა საერთაშორისო ბაზარზე უპირატესობების მოპოვებისაკენ, სადაც მოგებული რჩება ის, ვინც უფრო კონკურენტუნარიანი და წარმატებულია.

კონკურენტუნარიანობის თეორიაში განასხვავებენ: ქვეყნის კონკურენტუნარიანობას, რეგიონის კონკურენტუნარიანობას, საწარმოს (ფირმის) კონკურენტუნარიანობას და საქონლის (პროდუქციის) და მომსახურების კონკურენტუნარიანობას. მათ შორის არსებობს მჭიდრო კავშირები, რადგან ქვეყნისა და დარგის ან რეგიონის კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია კონკრეტული საქონლის მწარმოებელთა უნარზე გამოუშვან კონკურენტუნარიანი საქონელი. მეორე მხრივ, კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოება შეიძლება განხორციელდეს პირობებში, რომელიც შექმნილია საქონლის მწარმოებლებისათვის დარგში და ქვეყანაში მთლიანად.

სინთეზური მაჩვენებელი, რომელიც აერთიანებს საქონლის, საწარმოს, დარგის და რეგიონის კონკურენტუნარიანობას და ახასიათებს ქვეყნის მდგომარეობას მსოფლიო ბაზარზე, წარმოადგენს ქვეყნის გლობალური კონკურენტუნარიანობა, რომელსაც ხშირად ქვეყნის ეროვნულ კონკურენტუნარიანობასაც უწოდებენ. ზოგადად, ქვეყნის კონკურენტუნარიანობა არის ქვეყნის

ეკონომიკური პროფილი

უნარი თავისუფალი კონკურენციის პირობებში აწარმოოს საქონელი და მომსახურება, რომელიც დააკმაყოფილებს მსოფლიო ბაზრის მოთხოვნებს და რომელთა რეალიზაცია ზრდის ქვეყნისა და მისი ცალკეული მოქალაქის კეთილდღეობას.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ცნება შემოაქვს თავის თეორიაში ცნობილ ამერიკელ მეცნიერს მაიკლ პორტერს.<sup>1</sup> მისი აზრით, სწორედ ეროვნული კონკურენტუნარიანობა განსაზღვრავს წარმატებას ან წარუმატებლობას წარმოების კონკრეტულ დარგში და იმ ადგილს, რომელსაც ქვეყანა იკავებს მსოფლიო მეურნეობის სისტემაში..

სრულიად საპირისპირო მიდგომას შეიცავს ნობელის პრემიის ლაურეატის პოლ კრუგმანის შეხედულებები ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე.<sup>2</sup> მისი პოზიცია ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე ეფუძნება დ. რიკარდოს კლასიკურ თეორიას (უპირველეს ყოვლისა, შედარებითი უპირატესობის თეორიას). ამ კონცეფციის თანახმად, ქვეყნის კონკურენტუნარიანობა დაიყვანება გამოყენებული ფაქტორების შედარებით მწარმოებლურობაზე, რაც გამოიხატება სავაჭრო ბალანსის მდგომარეობაში, შედარებით ფასებში, სავალუტო კურსში და საბოლოო ჯამში აისახება ქვეყნის კეთილდღეობაზე.

კონკურენტუნარიანობის ზოგადი განმარტება, რომელიც აღიარებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციის (Organization for Economic Cooperation and Development – OCED) მიერ, გულისხმობს ერის, რეგიონების, დარგებისა და კომპანიების უნარს შექმნან შემოსავლებისა და ხელფასების შედარებით მაღალი დონე საერთაშორისო კონკურენციისათვის ღიაობის (გახსნილობის) პირობებში. ცნობილი ამერიკელი მეცნიერების დ. დოლარის და ე. ვულფის აზრით კონკურენტუნარიანობა ის ქვეყანა, რომელიც წარმატებულია საერთაშორისო ვაჭრობაში მაღალი ტექნოლოგიებისა და მწარმოებლურობის ბაზაზე მაღალი შემოსავლებით და ხელფასებით.<sup>3</sup> ამავე დროს მეკლვეარების აზრით, ქვეყნის კონკურენტუნარიანობა უნდა იქნას განხილული დინამიკაში, მოძრაობაში, რადგან დღევანდელ პირობებში ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ფაქტორები და პირობები, რომლებიც განაპირობებენ ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს, სწრაფად ცვალებადი და ტურბულენტურია. კონკურენციის დინამიურობის ასპექტზე პირველად ყურადღება გაამახვილა ამერიკელმა მეცნიერმა მ. დანმა, რომლის აზრით, კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშანია მისი დროში ცვალებადობა. მისი გაგებით, კონკურენტუნარიანობა არის მოქნილობა ანუ ქვეყნის ეკონომიკის უნარი განახორციელოს სტრუქტურული ცვლილებები და უზრუნველყოს მისადმი ადაპტირება.<sup>4</sup>

ჩვენი აზრით, ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის შეფასებისას ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს შემდეგ 3 მდგენელზე: რესურსები; ტექნოლოგიები; სახელმწიფოს მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობა. რესურსების არსებობა ქვეყნის ეროვნული კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი უპირატესობაა, რამეთუ წარმოების ფაქტორები (ბუნებრივი რესურსები, სამუშაო ძალა, კაპიტალი) და მათი გამოყენების ეფექტიანობის ხარისხი (წარმოების ხარჯები, ფასები და ა.შ.) განსაზღვრავენ ქვეყანაში შე-

1 **Портер М.Э.** Конкуренция. – М.: Издательство Дом «Вильямс», 2001. – 496 с.

2 **პოლ კრუგმანი**, საერთაშორისო ეკონომიკა: თეორია და პრაქტიკა, თბ., 2000.

3 **Dollar D., Wolf E.** The global competitive /Journal of International Economics, 2003, #27(3-4). Oxford university press. P.199-220.

4 **Dunn M.** The Economic of Modern Manufacturing: Technology, Strategy and Organization, American Economic Review. 1990, #80, p.511-512.

მოსავლებისა და შრომის ანაზღაურების მოცულობას, რითაც საბოლოო ჯამში ფორმირდება მოსახლეობის ცხოვრების დონე და ხარისხი. არანაკლებ მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური უპირატესობა ანუ ისეთი ფაქტორები, როგორცაა ცოდნის რესურსი, ტექნოლოგიური რესურსი, ინვესტიციური რესურსი და სხვა კრეატიული აქტივები, რითაც ქვეყანას ექნება შესაძლებლობა დაწინაურდეს ტექნოლოგიურად ერთ ან რამდენიმე დარგში და ამით მოიპოვოს ლიდერობა რეგიონში ან მთლიანად მსოფლიოში. და ბოლოს, ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია იმ ეკონომიკურ ხელსაყრელ გარემოს და ადექვატურ სოციალურ-ეკონომიკურ კლიმატს, რომლის ფორმირება შესაძლებელია ქვეყნის მიერ გატარებული ოპტიმალური სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკით.

თანამედროვე ეტაპზე ეროვნული კონკურენტუნარიანობის მაღალი რეიტინგით ხასიათდებიან მაღალგანვითარებული ქვეყნები, რომლებსაც გააჩნიათ ტექნოლოგიური უპირატესობები, ხოლო დაბალრეიტინგულს წარმოადგენენ სხვა დანარჩენი ქვეყნები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მდიდარი და ღარიბი ქვეყნების კონკურენტუნარიანობის ბუნება განსხვავებულია. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ისეთი ბუნებრივი ფაქტორები, როგორცაა გეოგრაფიული მდებარეობა, მდიდარი ბუნებრივი რესურსების ფლობა ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის არ წარმოადგენს მთავარ მამოძრავებელ ძალას. უფრო მეტი უპირატესობები ენიჭება ახალ ტექნოლოგიებს, მწარმოებლურობას, ეკონომიკურ გარემოს. სწორედ ამითაა განპირობებული ის გარემოება, რომ რესურსებით მდიდარი ქვეყნები მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან კონკურენტუნარიანობის რეიტინგში ტექნოლოგიურად განვითარებულ ქვეყნებს.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის რეიტინგის გაანგარიშება ხდება ორი სპეციალური ინდექსის – გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის და საქმიანი კონკურენტუნარიანობის ინდექსის საფუძველზე.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმს პირველად შესთავაზა კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა ქსავე-სალი მარტინმა. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (Global Competitiveness Index – GCI) – არის ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობისა და მისი საშუალოვადიან პერსპექტივაში განვითარების სინთეზური მაჩვენებელი. იგი პირველად გამოქვეყნდა 2004 წელს, თუმცა შემდგომში მოხდა მისი გაანგარიშების მეთოდოლოგიის სრულყოფა. ამ ინდექსის გაანგარიშებაში ძირითადად მონაწილეობს 9 საბაზო, აგრეგირებული ფაქტორი, რომელთა მაჩვენებლების რაოდენობა 200-ს აღემატება. საბაზო ფაქტორებში გაერთიანებულია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტები, ინფრასტრუქტურა, მაკროეკონომიკა, ჯანმრთელობის დაცვა და დაწყებითი (სასკოლო) განათლება, უმაღლესი და პროფესიონალური განათლება, ბაზრის ელასტიურობა და ეფექტიანობა, ტექნოლოგიური განვითარება, ბიზნესის განვითარება და ინოვაციები.

საქმიანი კონკურენტუნარიანობის ინდექსი შემუშავებულია ჰარვარდის ბიზნესის სკოლის პროფესორის მაიკლ პორტერის მიერ. ეს ინდექსი არის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მნიშვნელოვანი დამატება და მიმართულია კონკრეტული კომპანიების საქმიანობაზე მოქმედი ფაქტორების ანალიზზე, მაკროეკონომიკური საქმიანი კლიმატის, ტექნოლოგიური განვითარების დონის და ბიზნესთან დაკავშირებულ სხვა კონკრეტული საკითხების გამოკვლევაზე.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ზემოაღნიშნული ორი ინდექსის გაანგარიშების შედეგები, როგორც წესი, ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა მათ შორის ხშირად აღვილი აქვს მნიშვნელოვანი განსხვავება.

სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკების კონკურენტუნარიანობის შესწავლაზე მუშაობს დავოსის ეკონომიკური ფორუმი, ლოზანას ინსტიტუტი, ევროპული კომისია და სხვა ინსტიტუტები. დავოსის ფორუმი იხილავს 134 სახელმწიფოს, თუმცა ზოგიერთი ქვეყანა მასთან თანამშრომლობას თავს არიდებს (ბელარუსი, თურქმენეთი, უზბეკეთი და სვა). ლოზანას (შვეიცარიის ბიზნეს-სკოლის) რეიტინგში მონაწილეობს 55 ქვეყანა (2009 წელს დაემატა ერთი ქვეყანა – ყაზახეთი). აღსანიშნავია, რომ ქვეყნები, რომლებიც სარეიტინგო გამოკვლევებში მონაწილეობენ, შესაბამის საფასურს იხდიან, ვინც არ იხდის მათ კონკურენტუნარიანობას არ იკვლევენ. ამასთან, დავოსის ეკონომიკური ფორუმის სარეიტინგო შედეგები და კვლევის მეთოდოლოგია სხვა გამოკვლევებთან შედარებით შედარებით უფრო გახსნილი, ხელმისაწვდომი, საიმედო და ავტორიტეტულია მსოფლიო საზოგადოებისათვის.

შვეიცარიის ინსტიტუტი კვლევებს ატარებს 1989 წლიდან სხვადასხვა ქვეყნების სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან ერთად. თითოეული ქვეყნის შეფასება ხდება 300-ზე მეტი კრიტერიუმით, რომლებიც აგრეგირებულია შემდეგ მიმართულებაში: ეკონომიკის მდგომარეობა; მთავრობის ეფექტურობა; ბიზნესის ეფექტურობა; ინფრასტრუქტურის მდგომარეობა; ცხოვრების დონე; ეკოლოგიის მდგომარეობა. უკანასკნელ წლებში პირველ ათეულში კონკურენტუნარიანობის რეიტინგში ერთმანეთს ენაცვლებიან ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა აშშ, შვეიცარია, სინგაპური, ჰონკონგი, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, შვეცია, კანადა, იაპონია, დანია და ევროპის სხვა მაღალგანვითარებული ქვეყნები. უკანასკნელი 16 წლის განმავლობაში კონკურენტუნარიანობის რეიტინგში ლიდერობს აშშ, შემდეგ მოდის ჰონკონგი და სინგაპური. განვითარებად ქვეყნებს შორის კონკურენტუნარიანობის მხრივ ლიდერობს ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია და რუსეთი. აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან ლოზანას ინსტიტუტი სწავლობს მხოლოდ 4 ქვეყანას (რუსეთი, ესტონეთი, ლიტვა და უკრაინა). ბოლო ხელმისაწვდომი ინფორმაციის თანახმად (2008 წ.) მსოფლიოს 55 ქვეყანას შორის კონკურენტუნარიანობის რეიტინგით ესტონეთი დგას 23-ე ადგილზე, ლიტვა – 36, რუსეთი – 47 და უკრაინა – 54 ადგილზე. 2009 წელს გამოკვლეულ იქნა 57 ქვეყანა, სადაც რუსეთის რეიტინგი დაეცა 2 პოზიციით და დაიკავა 49-ე ადგილი, უკრაინა კვლავაც ბოლოდან მეორე ადგილზეა (56).

საყურადღებოა, რომ ლოზანას ინსტიტუტი კვლევებისას ძირითადად ეყრდნობა საერთაშორისო ორგანიზაციების მასალებს. მათ შორის, გაეროს, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკის და ა.შ., აგრეთვე 60-მდე პარტნიორი ინსტიტუტის კვლევის შედეგებს. ინსტიტუტი კვლევაში იყენებს ინფორმაციებს, რომლის ორი მესამედი გამოქვეყნებულია სტატისტიკურ კრებულებში, ხოლო ერთი მესამედი მოიპოვება ექსპერტული შეფასებით (ანკეტური გამოკითხვის წესით).

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ მომზადებული ანგარიშის „გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგი 2010-2011“, ანალიზიდან ჩანს, რომ გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა გარკვეული კორექტივები შეიტანა ქვეყნების კონკურენტუნარიანობის რეიტინგში. შეიძლება ითქვას, რომ ფორუმის მიერ მომზადებული ბოლო გამოკვლევა წინა გამოკვლევები-

საგან განსხვავებით უფრო მასშტაბური და კომპლექსური ხასიათისაა. გამოკვლევამ მოიცვა 139 ქვეყნის 13 500 ბიზნეს-სუბიექტის ანკეტური გამოკითხვის შედეგები.

დავოსის ფორუმის ბოლო ანგარიშის მიხედვით გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგს სათავეში ჩაუდგა შვეიცარია, რომელიც წინა წელსაც პირველ ადგილს იკავებდა. შემდგომ მეორე და მესამე ადგილზე შესაბამისად მოდიან შვეიცარია და სინგაპური. აშშ, რომელსაც წინა წელს ეკავა მეორე ადგილი, 2010 წელს გადაინაცვლა მე-4 ადგილზე, რასაც გამოკვლევის ავტორები ხსნიან ამ ქვეყნის ფინანსური ბაზრების შესუსტებით და მაკროეკონომიკური სტაბილურობის შემცირებით. გერმანიამ, რომელიც ითვლება „ევროზონის ლოკომოტივად“, 2010 წელს გლობალურ რეიტინგში გადმოინაცვლა წინა წლის მეშვიდე ადგილიდან მესუთე ადგილზე. მას მოსდევნენ: იაპონია (6 ადგილი), ფინეთი (7), ნიდერლანდები (8), დანია (9). ლიდერი ქვეყნების პირველი ათეულის ბოლო ადგილი დაიკავა კანადამ.

მსოფლიოს შედარებით კონკურენტუნარიანი ქვეყნების რეიტინგში უფრო მეტ ადგილს იკავებენ ევროპის სახელმწიფოები. დიდი ბრიტანეთი, რომელიც უკანასკნელ წლებში თმობდა თავის პოზიციებს, 2010 წელს ერთი პოზიციით დაწინაურდა და დაიკავა მე-12 ადგილი. საფრანკეთმაც გაიუმჯობესა მდგომარეობა და დაიკავა მე-15 ადგილი. პრობლემები შეექმნა ესპანეთს. მან ერთ წელიწადში დაკარგა 9 პოზიცია და დაიკავა 42-ე ადგილი. ევროკავშირის ქვეყნებს შორის ყველაზე ცუდად შეფასდა საბერძნეთი, რომელმაც დაკარგა 12 პოზიცია და 83-ე ადგილზე გადაინაცვლა. ევროპის რეგიონში კონკურენტუნარიანობის დაცემის კუთხით ლიდერი გახდა სლოვაკეთი, რომელმაც დაკარგა 13 პოზიცია და დაიკავა მე-60 ადგილი. კონკურენტუნარიანობის განმტკიცების კუთხით ყველაზე საუკეთესო შედეგი აჩვენა ჩერნოგორიამ, რომელმაც 13 პოზიციით გაიუმჯობესა მდგომარეობა და გადაინაცვლა 49-ე ადგილზე.

მსხვილი განვითარებადი ქვეყნებიდან კონკურენტუნარიანობის რეიტინგში ლიდერობს ჩინეთი (27 ადგილი), შემდეგ მოდის ინდოეთი (51) და ბრაზილია (58). რუსეთმა ამ ჯგუფში შემავალ ქვეყნებს შორის დაიკავა უკანასკნელი ადგილი.

აღსანიშნავია, რომ ახლო აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ აფრიკის რიგმა ქვეყანამ გადაინაცვლა რეიტინგის პირველ ათ ულში. ლიდერებს შორისაა: ყატარი (17 ადგილი), საუდის არაბეთი (21), ისრაელი (24), გაერთიანებული არაბეთის ემირატები (25), ტუნისი (32), ქუვეითი (35) და ბაჰრეინი (37). აფრიკის ქვეყნებიდან რეიტინგის ზედა ნახევარში მოხვდნენ სამხრეთ აფრიკა (54-ე ადგილი) და მავრითია (55).

კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების საუკეთესო შედეგები აჩვენეს მონღოლეთმა (+18 პოზიცია), შრი ლანკამ (+17) და ვიეტნამმა (+16). კონკურენტუნარიანობის რეიტინგის შემცირების ლიდერები გახდნენ ნიგერია (-28 პოზიცია), ლესოტო და იორდანია (-21).

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ შემუშავებულ კონკურენტუნარიანობის ბოლო ანგარიშში პირველად მოხვდნენ ირანი, რომელმაც დაიკავა 69-ე ადგილი, რუანდა – 80 ადგილი, ლიბია – 92, ანგოლა – 138, კაბო-ვერდე – 117 და სვაზილენტი – 126 ადგილი.<sup>5</sup>

ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებიდან კონკურენტუნარიანობის რეიტინგში შედარებით ყველაზე საუკეთესო ადგილი დაიკავეს ესტონეთმა (33-ე ადგილი), ლიტვა (47) და აზერბაიჯანმა (57). შემდეგ მოდის ლატვია (70), ყაზახეთი (72), უკრაინა (89), საქართველო (93), მოლდავეტი (94), სომხეთი (98), ტაჯიკეთი (116), ყირგიზეთი (121). რუსეთი ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვნად

5 The Global Competitiveness Index 2010-2011 ( <http://gtmarket.ru/news/state/2010/09/09/2668>)

დაახარადა. ფორუმის მონაცემებით 2010 წელს კონკურენტუნარიანობის რეიტინგში მან დაკარგა 12 პოზიცია და 51-ე ადგილიდან 63-ე ადგილზე გადაინაცვლა. უფრო მეტიც, რუსეთის ფედერაციის მთელი რიგი მაჩვენებლები, რომლებიც განსაზღვრავენ კონკურენტუნარიანობის რეიტინგს, მნიშვნელოვნად გაუარესდა. მაგ., კორპორაციული მართვის მაჩვენებლით რუსეთმა დაიკავა 119-ე ადგილი, საკუთრების უფლების დაცვის კუთხით 126-ე ადგილი, ფინანსური ბაზრის განვითარების მხრივ 125-ე ადგილი, ბანკების მდგრადობის მხრივ 129 ადგილი და ა.შ. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ეკონომიკაში სახელმწიფოს წილი შეადგენს 40-50 %-ს, რაც ერთნახევარჯერ მაღალია საშუალო მსოფლიო მაჩვენებელზე. რუსეთში ყოველი მეორე დასაქმებული მუშაობს სახელმწიფო სექტორში. აღნიშნული პრობლემა სერიოზულ პრობლემებს უქმნის ქვეყანას კონკურენტუნარიანობის უპირატესობის მიღწევაში.

რაც შეეხება საქართველოს ადგილს გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგში, იგი სიის მეორე ნახევარში იმყოფება და 2010 წლამდე სტაბილურ მდგომარეობას ინარჩუნებდა (90 ადგილი), ხოლო ფორუმის ბოლო ანგარიშის მიხედვით 2010 წელს ქვეყანამ დათმო სამი პოზიცია და დაიკავა 93-ე ადგილი. პოსტკომუნისტურ ქვეყნებს შორის საქართველოს ადგილი გლობალურ რეიტინგში საკმაოდ დაბალია. მას წინ უსწრებს ყოფილ სსრკ-ში შემავალი ყველა ქვეყანა, გარდა სომხეთის, ტაჯიკეთისა და ყირგიზეთისა. ერთი პოზიციით დაბლა დგას მოლდავეთი, თუმცა მას საქართველოსაგან განსხვავებით გაუმჯობესების ტენდენცია გააჩნია. საქართველოს სასაზღვრო მეზობელი ქვეყნებიდან გლობალური კონკურენტუნარიანობის ყველაზე საუკეთესო რეიტინგი აქვს აზერბაიჯანს, შემდეგ მოდის თურქეთი (61-ე ადგილი), რუსეთი (963), ხოლო საქართველოზე დაბალი კონკურენტუნარიანობით ხასიათდება სომხეთი. საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქართველოსა და საქართველოზე უკეთესი რეიტინგის მქონე მოსაზღვრე ქვეყნებს შორის პოზიციათა სხვაობა ძალიან დიდია (აზერბაიჯანთან – 36 პოზიცია, თურქეთთან – 32, რუსეთთან – 30), ხოლო საქართველოს შემდგომ მდგომ ქვეყანასთან ძალიან მცირეა (სომხეთი მხოლოდ 4 პოზიციითაა ჩამორჩენილი). აღნიშნულ მდგომარეობას თუ შევხედავთ გრძელვადიან პერიოდში იგი საქართველოსათვის არ შეიძლება პოზიტიურად იქნეს მიჩნეული, რამეთუ საქართველოს ყველაზე მაღალი ეკონომიკური კავშირები აქვს თურქეთთან და აზერბაიჯანთან, ხოლო მათი მხრიდან შედარებით მაღალი გლობალური კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება საქართველოს სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის საკუთარი კონკურენტუნარიანობისა ამაღლებაში. რუსეთის ფაქტორი შედარებით უმნიშვნელოა, რადგან ცნობილი მიზეზების გამო ამ ქვეყანასთან ოფიციალური ეკონომიკური ურთიერთობა დროებით შეწყვეტილია. რაც შეეხება სომხეთს, მართალია მისი კონკურენტუნარიანობა მცირედით ჩამორჩება საქართველოს, მაგრამ ამ ქვეყანასთან საგარეო ეკონომიკური კავშირები შედარებით უმნიშვნელოა. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ უკრაინა, როგორც საქართველოსტან ტერიტორიულად ახლოს მდებარე და მჭიდრო საგარეო ეკონომიკური კავშირის მქონე ქვეყანას, კონკურენტუნარიანობის უფრო მაღალი რეიტინგი გააჩნია, ვიდრე საქართველოს, რაც ასევე გრძელვადიან პერიოდში საქართველოს კონკურენტუნარიანობის გამოწვევის საფუძველს იძლევა. საქართველოს ადგილი პოსტსაბჭოური ქვეყნების გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგი ნაჩვენებია 1-ლ ცხრილში.

**ცხრილი 1.**

**პოსტსაბჭოური ქვეყნების გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგი (მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშების მიხედვით)**

ქვეყანა	2007 წელი		2008 წელი		2009 წელი		2010 წელი	
	რეიტინგი	შეფასება	რეიტინგი	შეფასება	რეიტინგი	შეფასება	რეიტინგი	შეფასება
საქართველო	90	3,83	90	3,86	90	3,81	93	3,86
რუსეთი	58	4,19	51	4,31	63	4,15	63	4,24
ლატვია	45	4,41	54	4,26	68	4,06	70	4,14
ლიტვა	38	4,49	44	4,45	53	4,30	47	4,38
ესტონეთი	27	4,74	32	4,67	35	4,56	33	4,61
აზერბაიჯანი	66	4,07	69	4,10	51	4,30	57	4,29
სომხეთი	93	3,37	97	3,73	97	3,71	98	3,76
ყაზახეთი	61	4,14	66	4,11	67	4,08	72	4,12
უკრაინა	73	3,98	72	4,09	82	3,95	89	3,90
ტაჯიკეთი	117	3,37	116	3,46	122	3,38	116	3,53
ყირგიზეთი	119	3,34	122	3,40	123	3,36	121	3,49
მოლდავეთი	97	3,64	95	3,75	-	-	94	3,86

\*-ცხრილი შედგენილია ავტორების მიერ შემდეგი ინტერნეტ-რესურსების საფუძველზე:

<http://rating.rbc.ru/article.shtml?2007/06/22/31530893>; <http://gtmarket.ru/news/state/2010/09/09/2668>;

<http://rating.rbc.ru/article.shtml?2008/10/09/32159490>; <http://statinfo.biz/Data.aspx?act=1957&lang=1>

აღსანიშნავია, რომ საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგით 2005 წელს მიკუთვნებული ჰქონდა 86-ე ადგილი, 2006 წელს კი 85-ე ადგილი 117 ქვეყანას შორის. საყურადღებოა, რომ ამ ინდექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილის – ინოვაციების და ფაქტორების სირთულის მიხედვით საქართველო იკავებს ერთ-ერთ ბოლო ადგილს (119) და მის შემდგომ მოდის ბოლოვია, უგანდა, პარაგვაი, მოზამბიკი, ბურუნდი და ჩადი. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ დავოსის ეკონომიკური ფორუმის მონაცემებით, დაწყებული 2005 წლიდან, საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგის შემცირების ტენდენცია ჰქონდა და იგი 6 წლის განმავლობაში დაეცა 8 პოზიციით.

ნიშანდობლივია ისიც, რომ მიუხედავად გლობალური კონკურენტუნარიანობის იერარქიაში საქართველოს დაბალი ადგილისა, მთელი რიგი ლოკალური კონკურენტუნარიანო-

ბის პარამეტრებით მდგომარეობა მეტ-ნაკლებად პოზიტიური მიმართულებისაა. მაგალითად, ფრეიზერის ინსტიტუტის (Fraser Institute) მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების მოხსენების თანახმად, საქართველო 2010 წელს 2009 წელთან შედარებით 22 პოზიციით დაწინაურდა და 141 ქვეყანას შორის დაიკავა 23-ე ადგილი. ამ რეიტინგში საქართველომ გაუსწრო არა მხოლოდ მეზობელ ქვეყნებს – აზერბაიჯანს (93), სომხეთს (50), რუსეთს (84), არამედ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებსაც: ბელგიას (43), იტალიას (66), გერმანიას (24) და ა.შ.

უკანასკნელ წლებში საქართველოს რეიტინგი და ინდექსები ბიზნესის სფეროში შემდეგნაირად გამოიყურება: სუვერენული საკრედიტო რეიტინგი – +(2010), „აკეთე ბიზნესის“ კრიტერიუმით – 11 ადგილი (2010), საკუთრების დაცვის ინდექსი – 109(2009), საგადასახადო სისტემის ხელსაყრელობის ინდექსი – 75 (2009), საგადასახადო ტვირთისა და რეფორმების ინდექსი – 52 (2009), ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების რეიტინგი – 28 (2009), ინვესტიციების შემოდინების ინდექსი – 9 (2007). უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაჩვენებელი შემდგომ გამოკვლევებში მნიშვნელოვნად იქნება გაუარესებული, რადგან როგორც ცნობილია უკანასკნელ წლებში 2007 წელთან შედარებით ინვესტიციების შემოდინება ქვეყანაში მნიშვნელოვნადაა შემცირებული. რაც შეეხება სოციალური ხასიათის ინდექსებს, ამ მხრივ, საქართველოს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად დაბალია. მაგ., ცხოვრების დონის ინდექსი 2009 წლის მონაცემებით შეადგენდა 84, ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი - 96 (2008), საავტომობილო გზების ხარისხის ინდექსი – 66 (2009), ეკოლოგიური უსაფრთხოების ინდექსი – 37 (2009), ბედნიერი ქვეყნის ინდექსი – 72 (2009).

მსოფლიოში ქვეყნის იმიჯის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს პოლიტიკური გარემო. უკანასკნელი 2-3 წლის მანძილზე საქართველოს პოლიტიკური რეიტინგები შემდეგნაირად გამოიყურება: დემოკრატიის ინდექსი – 104 (2008). სიტყვის თავისუფლების რეიტინგი – 81 (2009), დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის ინდექსი – 38 (2008), სახელმწიფო მმართველობის ეფექტურობის ინდექსი – 23 (2008), სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ინდექსი – 4,7 (2009). საყურადღებოა, რომ ამ შემთხვევაში შეფასება 7 ბალიანია – 1 კარგია, 7 ძალიან ცუდი. პოლიციური სტრუქტურის საიმედობის ინდექსი – 4 (2009), კორუფციის აღქმის ინდექსი – 67 (2009), სახელმწიფოს დაშლის საფრთხის რეიტინგი – 33 (2009), პოლიტიკური ტერორის შკალა – 3,5 (2008, 5 ბალიანი შეფასებით), მილიტარიზაციის ინდექსი – 33 (2009)<sup>6</sup>.

ზემოთ მოყვანილი რეიტინგები და ინდექსები ლოკალური ხასიათისაა. ისინი შემუშავებულია სხვადასხვა საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების და კომპანიების მიერ, რომელთა მეთოდოლოგია არაერთგვაროვანია და მეტწილად არ ეთანადება დავოსის ეკონომიკური ფორუმის ექსპერტების და ლოზანას ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ მიდგომებს, რომლებიც ყველაზე მაღალი საიმედობითაა ცნობილი მთელს მსოფლიოში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფორუმისა და ინსტიტუტის მეთოდოლოგიაში აისახებიან ყველა ის ლოკალური რეიტინგები, რომელსაც ავტონომიურად განსაზღვრავენ სხვა დანარჩენი კვლევითი ორგანიზაციები. გამომდინარე აქედან, ქვეყნის გლობალური კონკურენტუნარიანობის შეფასებისას ორიენტაცია ლოკალურ რეიტინგებზე არ იძლევა რეალურ სურათს. მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს განზოგადებულ რეიტინგზე, რომელიც მიმართულია ქვეყანაში ცხოვრების დონისა და ხარისხის

6 <http://www.economy.ge/upload-file/pdf/saqartvelo%20saertashoriso%20reitingebshi-3.pdf>



ამაღლებსაკენ. მაგ., ბიზნესის კეთების მაღალი რეიტინგი თავისთავად ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის ამაღლებსა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით კარგი მაჩვენებელია, მაგრამ იგი არ არის საბოლოო შედეგის ამსახველი. იგი შუალედურია თავისი შინაარსით და თუ მას არ მოჰყვა ინვესტიციების ზრდა, უმუშევრობის შემცირება და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, თავისთავად ასეთი რეიტინგი ნეკრო ხასიათის მატარებელი იქნება და სხვა არაფერი. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი ფაქტობრივი მდგომარეობა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ბიზნესის კეთების სიმარტივის მხრივ საქართველო მნიშვნელოვნად უსწრებს გერმანიას. აქედან დასკვნის გაკეთება, რომ საქართველო გერმანიასთან შედარებით უფრო კონკურენტუნარიანი ქვეყანაა საფუძველს მოკლებულია შემდეგ გარემოებათა გამო. ჯერ ერთი, ბიზნესის კეთების მხრივ საქართველოს გერმანიაზე წინ მოხვედრა სულაც არ ნიშნავს, რომ საქართველოში უფრო ადვილია ბიზნესის კეთება. აღნიშნული რეიტინგი მიუთითებს იმაზე, რომ უკანასკნელ წლებში ბიზნესის კეთების ადმინისტრაციული ბარიერები გამარტივდა, მაშინ როდესაც, იგი როგორც სხვა მოწინავე ქვეყნებში, ასევე გერმანიაში დიდი ხანია გამარტივებულია, ამიტომ მათში ამ კუთხით შემდგომი რეფორმების აუცილებლობა თითქმის მოხსნილია დღის წესრიგიდან. მეორე მხრივ, როგორც შესაბამისი საერთაშორისო ავტორიტეტული შეფასებები გვიჩვენებენ მსოფლიო კონკურენტუნარიანობის რეიტინგში გერმანია მე-5 ადგილზეა, საქართველო კი – 93-ე ადგილზე. აღნიშნული თანაფარდობა მიუთითებს იმაზე, რომ გერმანიაში ბიზნესის კეთებას საქართველოსთან შედარებით უფრო მეტი ადმინისტრაციული ბარიერები ხვდება. რა თქმა უნდა, კონკურენტუნარიანობა მხოლოდ საბოლოო შედეგებით უნდა შეფასდეს.

ჩვენი აზრით, თანამედროვე ეტაპზე გლობალური და ლოკალური რეიტინგული გამოკვლევების შედეგების შესაბამისი ანალიზური კომენტარისა და გამოყენებული მეთოდოლოგიის საზოგადოებისათვის გაუხსნელად მიწოდება არაა გამართლებული. მიგვაჩნია, რომ გლობალური კონკურენტუნარიანობის, როგორც განმაზოგადებელი მაჩვენებლის პარალელურად უნდა დაფიქსირდეს ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური საქმიანობისა ისეთი სინთეზური მაჩვენებელი, როგორცაა ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, თანაც არა მიმდინარე, არამედ საბაზისო, შესადარის ფასებში. ნებისმიერი წარმატებული რეიტინგი მაშინაა საიმედო, როდესაც იგი გამაგრებულია წარმოების შედეგებით, რომელიც თავის მხრივ, განაპირობებს ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონეს და ხარისხს. ჩვენი კონცეფციის არგუმენტირების მიზნით შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების მოცულობის მხრივ საქართველო მსოფლიოს სხვა დანარჩენ ქვეყნებთან მიმართებაში იკავებს 171-ე ადგილს, ხოლო 1 სულ მოსახლეზე წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით 109-ე ადგილს<sup>7</sup>.

ამავე დროს, როგორც უკვე აღინიშნა, საქართველო 4 პოზიციით წინ უსწრებს სომხეთს მსოფლიო კონკურენტუნარიანობის რეიტინგში (დავოსის ფორუმის შეფასება), მაგრამ 1 სულ მოსახლეზე წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით სომხეთი საქართველოზე წინ დგას. უფრო მეტიც, ამ პარამეტრით საქართველოს წინ უსწრებს ყოფილი სსრკ-ში შემაჯავლი ყველა ქვეყანა, გარდა მოლდავეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთისა.

7

<http://statinfo.biz/Geomap.aspx?act=8639&lang=1>

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, შეიძლება დავასკვნათ, რომ მიუხედავად უკანასკნელ წლებში განხორციელებული მეტ-ნაკლებად წარმატებული ეკონომიკური რეფორმებისა, ჯერ კიდევ არაა მკაფიოდ გამოკვეთილი საქართველოს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების გრძელვადიანი ტენდენციები. დღემდე მიღწეული თვალსაჩინო პოზიტიური შედეგები ძირითადად ლოკალური ხასიათისაა და მთლიანობაში ქვეყნის კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო დონეზე ჯერ კიდევ დაბალია. გამომდინარე აქედან დღის წესრიგში დგება ქვეყნის გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი სამოქმედო პროგრამის შემუშავებისა და მათი პრაქტიკული რეალიზაციის ამოცანა.